

**სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის განცხადება**  
**სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშების მომსახურე**  
**კომერციული ბანკის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საბანკო-საფინანსო მომსახურეობაზე საბანკო დაწესებულებებს შორის კონკურსში მონაწილე ბანკმა საკონკურსო წინადადება და თანდართული დოკუმენტები უნდა წარმოადგინოს ქართულ ენაზე, ერთი დახურული კონვერტით 2024 წლის 13 დეკემბრიდან 2024 წლის 24 დეკემბრის 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ.სამტრედია, რესპუბლიკის ქუჩა N6, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება, III სართული, ოთახი N305.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება და ღია ვაჭრობა გაიმართება 2024 წლის 27 დეკემბრის 14 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. სამტრედია, რესპუბლიკის ქ. N6, IV სართულის სხდომათა დარბაზი.

კონკურსში მონაწილე კომერციულმა ბანკმა საკონკურსო წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

1.1. განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ, რეკვიზიტების მითითებით;

1.2. წერილობითი დადასტურება, რომ კომერციულმა ბანკმა მიმართა საქართველოს ეროვნული ბანკს, რომ კომერციული ბანკი არ არის რეზოლუციის რეჟიმში ან ლიკვიდაციის რეჟიმში (რაც შეეხებაა ცნობას საქართველოს ეროვნული ბანკიდან, რომ კომერციული ბანკი არ არის რეზოლუციის რეჟიმში ან ლიკვიდაციის რეჟიმში, კონკურსში გამარჯვებული კომერციული ბანკის მიერ წარმოდგენილ უნდა იქნეს ხელშეკრულების დადებამდე);

1.3. ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ ბანკის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

1.4. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

1.5. ბანკის წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და საჭიროების შემთხვევაში დამატებით მინდობილობა.

2. კონკურსში მონაწილე ორგანიზაციამ უნდა წარმოადგინოს წერილობითი ინფორმაცია მასზედ, რომ მისი ორგანიზაციის ფილიალებისა და სერვის-ცენტრების ქსელი მდებარეობს სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

3. ბანკის მიერ უნდა იქნეს წარმოდგენილი წერილობითი ინფორმაცია, რომ მისი ორგანიზაციის ბანკომატების ქსელი მდებარეობს ქალაქ სამტრედიის ტერიტორიაზე და ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში განათავსებს ბანკომატს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში.

4. **დამატებითი მომსახურებები:** თანამშრომლებზე აქამდე გაცემული ოვერდრაფტებისა და სახელფასო სესხების პორტირება, თანამშრომელთა მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში,

გამარჯვებულმა ბანკმა უნდა განახორციელოს მათთვის ფინანსური პირობების გაუარესების გარეშე.

5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებზე განახორციელოს VIP მომსახურება.

6. ბანკმა უნდა უზრუნველყოს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო გადარიცხვების ელექტრონული სისტემის გამართვა და შემდგომი-მომსახურება.

7. კონკურსში მონაწილე ბანკის საკონკურსო წინადადება უნდა მოიცავდეს (და შესაძლებელია არ შემოიფარგლებოდეს) ინფორმაციას შემდეგი საკითხების შესახებ:

**მომსახურების ტარიფებს, მათ შორის სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკონკურსო პირობას წარმოადგენს:**

- უნივერსალური ანგარიშის გახსნა – უფასო;
- ორგანიზაციის გადარიცხვები ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში-უფასო.
- ორგანიზაციის ანგარიშზე ნაღდი ფულის (ეროვნული და უცხოურ ვალუტაში) შეტანა და გატანა-უფასო.
- საკონვერტაციო ოპერაციები-კონვერტაციის დღეს არსებული ბანკის კომერციულ კურსთან შედარებით შეღავათიანი ტარიფებით.
- ანგარიშზე ჩატარებული ოპერაციების ჩამონათვალის (ამონაწერის) მიწოდება- უფასო;
- ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი პროგრამით გათვალისწინებულ ბენეფიციარებზე ანგარიშის გახსნა -უფასო;
- ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისათვის ანგარიშის გახსნა – უფასო;
- თანამშრომლებზე საბარათე ანგარიშების გახსნა და ოვერდრაფტის დაშვება.
- თანამშრომლებზე სახელფასო პლასტიკური ბარათების დამზადება - უფასო.
- თანამშრომელთა სახელფასო ანგარიშებზე SMS მომსახურება - უფასო;
- თანამშრომლებისათვის სახელფასო პლასტიკური ბარათის მომსახურება - უფასო
- სამტრედიის მუნიციპალიტეტის (მერია, საკრებულო) თანამშრომლებზე კრედიტის (სახელფასო, იპოთეკური, სამომხმარებლო) გაცემის უზრუნველყოფა;
- სარგებლის დარიცხვა საანგარიშო თვის განმავლობაში ყოველი დღის ბოლოს და მისი ასახვა ბიუჯეტის ანგარიშზე განხორციელდეს ყოველი საანგარიშო თვის ბოლო დღეს;
- მიმდინარე ნაშთზე დასარიცხი წლიური სარგებელი არანაკლებ 12 %-სა.
- საჯარო ვაჭრობაში შეთავაზების ბიჯის ოდენობა განსაზღვრულია 0,2%-ის ოდენობით.

P.S. ბანკის მიერ წარმოდგენილი წინადადება, რომელშიც მიმდინარე ნაშთზე დასარიცხი წლიური სარგებელი იქნება 12 %-ზე ნაკლები არ განიხილება. საჯარო ვაჭრობაში პროცესში ნაშთზე დასარიცხ წლიურ 12 %-ს უნდა დაემატოს მინიმუმ ერთი ბიჯი - 0,2%.

კითხვების შემთხვევაში დაუკავშირდით: სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, იურიდიული განყოფილების უფროსს ნიკოლოზ სანაძეს, ტელ: 595 90 44 85.